

სამოქალაქო ჩართულობის პრაქტიკები საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და
დაგეგმვის პროცესში: ქართული გამოცდილება და გამოწვევები

ეთერ ბურდული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთერ ბურდული

08.02.2022

აბსტრაქტი

სამოქალაქო ჩართულობა საჯარო პოლიტიკის გადანყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც იგი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების ერთ-ერთ უძლიერეს ბერკეტს გავლენა იქონიონ საზოგადო სოციალურ, პოლიტიკურ ან/და ეკონომიკურ პროცესებზე. არასახელმწიფო აქტორების კარგი ხარისხით ჩართულობა და წარმომადგენლობა, და შესაბამისად, გარკვეული გავლენა მაღალი დონის გადანყვეტილებებზე მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფო უწყებებისადმი და მათ მიერ შექმნილი და განხორციელებული საჯარო პოლიტიკის პროდუქტებისადმი სანდოობასა და ლეგიტიმურობას. საერთაშორისო გამოცდილებაში სამოქალაქო ჩართულობის საკმაოდ მრავალფეროვანი პრაქტიკები გვხვდება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, თავად ჩართულობის მრავალგვარი გაგებით, ასევე სახელმწიფო უწყებების სურვილითა და განუელი ძალისხმევით, ხოლო მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანასა და გარემოში მცხოვრები საზოგადოების კულტურაზე. საქართველოც სწორედ იმ ქვეყნების გამოცდილებების რიგებში ხვდება, სადაც საჯარო პოლიტიკის შექმნაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა და პირების თართო ჩართულობის უზრუნველყოფის პრაქტიკა და კულტურა არც თუ ისე დიდ პერიოდს ითვლის. სწორედ ამიტომ, საინტერესო იყო შეგვესწავლა თუ როგორ მიმდინარეობს მოქალაქეებისა და სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორების თანამონაწილეობა საჯარო პოლიტიკის, კერძოდ კი, კონკრეტულ სფეროებში მთავრობის პოლიტიკის შექმნაში, რაც, როგორც წესი, წარმოდგენილია სტრატეგიის დოკუმენტებში.

საკითხის საკვლევადა, თავდაპირველად მოხდა სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საკითხის ზოგადი თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბება. აღნიშნული საფუძვლად დაედო კვლევის მეთოდოლოგიისა და საკვლევი ინსტრუმენტების განსაზღვრას. კვლევა ჩატარდა შერეული მიდგომით - სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდებით. ამ მეთოდების

გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა კვლევის შედეგებსა და მათ ანალიზზე დაყრდნობით წარმოდგენა შეგვექმნოდა საქართველოში არსებული პრაქტიკების შესახებ.

კერძოდ, დადგინდა, რომ ადგილობრივად არსებობს საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო ჩართულობის კარგი და სამაგალითო პრაქტიკები, თუმცა ამას გააჩნია არასისტემური და არაერთგვაროვანი სახე. თვალში საცემია სხვაობა სხვადასხვა საჯარო უწყებების ამ მხრივ არსებულ გამოცდილებებს შორის. გარდა არსებული პრაქტიკების შესწავლისა, კვლევის ჩატარება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მის ფარგლებში გამოვლინდა როგორც პოლიტიკის შემქმნელი საჯარო დაწესებულებების, ასევე დაინტერესებული მხარეების საჯარო განხილვებში ჩართულობის დაბრკოლებები და საჭიროებები. ამგვარი მიგნებების გაანალიზების შედეგად კი, კვლევის დასასრულს წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს საჯარო პოლიტიკის შექმნაში ფართო ჩართულობის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურად განხორციელებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამოქალაქო ჩართულობა, თანამონაწილეობა, საჯარო ჩართულობა, საჯარო მმართველობა, სამოქალაქო საზოგადოება, საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკის ციკლი, პოლიტიკის დაგეგმვა.

Abstract

Civic participation in public policy-making is an integral part of a democratic state, as it is one of the strongest levers for civil society and citizens to influence public social, political and/or economic processes. High quality participation and representation of non-state actors, and consequently their impact on a high-level decisions significantly increases the credibility and legitimacy towards governmental entities and the public policy products which they create and implement. The international experience includes a wide range of civic participation practices, which can be related, on the one hand, to the numerous understandings and definitions of participation itself and the willingness and taken efforts from governmental agencies, while on

the other, it depends on the culture of a particular country and community. Georgia represents one of those countries where ensuring broad participation of various stakeholders and individuals in public policy-making is a recent practice and tradition. Hence it was interesting to observe how citizens and various non-state actors are involved in shaping public policy, particularly government's policy in specialized areas, which is generally presented in strategy papers.

With the aim to study the issue, a review of the scientific literature related to the research topic was conducted first, allowing for the formation of a general theoretical framework of the issue. This created a basis to define research methodology and instruments. The research was conducted using a hybrid approach, combining desk and qualitative research methods. The application of these methodologies gave us the opportunity to gain an understanding of Georgian practices based on research findings and analysis.

In particular, it has been found that good and exceptional practices of civic engagement in public policy-making process are in place in some cases, although this is non-systematic and varied. The difference between the experiences of various governmental entities in this regard is striking. The study was important also in terms of identifying challenges and needs for the engagement of both public policy-makers and stakeholders in public consultations processes, in addition to analyzing existing practices. As a result of the analysis of these findings, respective recommendations are offered at the conclusion of the study, the adoption of which will help to effectively implement the procedures of ensuring broad participation in public policy-making.

Key Words: civic participation, co-participation, public involvement, public administration, civil society, public policy, policy cycle, policy planning.